ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5542798

ნომერი: AR1837359

თარიღი : 12.07.2021

გაცემის თარიღი : 10.08.2021

გაცნობის თარიღი : 11.08.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მელიქიშვილი , N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თორნიკე მახათაძე პ/ნ 01025016850
- არაყიშვილის 7

ორგანიზაცია:
- ბოლერო და კომპანია კოდი: 404431726

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №5102580 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 12 ივლისს №AR1837359 განაცხადით მომართა თორნიკე მახათაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №5102580 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №5102580 ბრძანებით ქ. თბილისში მელიქიშვილის გამზირი №5-ში (ს/კ: №01.15.03.018.018), სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5082668 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 15 სექტემბრიდან 2023 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „Bolero & Company“ (ს/ნ: 404431726).

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №5102580 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - შპს „Bolero & Company“-ის (ს/ნ: 404431726) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს “მელიქიშვილი ინნ”-ის (ს/ნ: 405463546) დაფიქსირება.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882021528002, მომზადების თარიღი: 30/06/2021 წ.) თანახმად, №01.15.03.018.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს შპს “მელიქიშვილი ინნ”-ის (ს/ნ: 405463546) საკუთრებას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21064614, მომზადების თარიღი: 27/06/2021 წ.) თანახმად, შპს “მელიქიშვილი ინნ”-ის (ს/ნ: 405463546) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დავით ბოჭორიშვილი (პ/ნ: 01009016303). ხოლო, მის მიერ 2021 წლის 4 აგვისტოს გაცემულია №04/08/21-01 თანხმობა სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №5102580 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილების თაობაზე.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში და დამკვეთად დააფიქსიროს შპს “მელიქიშვილი ინნ” (ს/ნ: 405463546).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №5102580 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს “მელიქიშვილი ინნ” (ს/ნ: 405463546).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №5102580 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №5102580 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში